



## შეხვედრის ოქმი

### საქართველოს რაგბის კავშირი

# COVID-19 ეპიდემიის პირობებში საქართველოს რაგბის კავშირის ეგიდით გამართული რაგბის ჩემპიონატების ჩატარების განხილვა

შეხვედრა შედგა 2020 წლის 12 ოქტომბერს ვირტუალურად Zoom-ის პლატფორმის გამოყენებით.

განსახილველი საკითხი: ჩემპიონატების გაგრძელება COVID-19 ეპიდემიის პირობებში.

შეხვედრას ესწრებოდნენ:

- ბესიკ ჩადუნელი – საქართველოს რაგბის კავშირის სამედიცინო სამსახურის უფროსი.
- ნიაზ მამრიკიშვილი – საქართველოს რაგბის კავშირის საშუალო კომიტეტის თავმჯდომარე.
- ალექსანდრე გუგავა – საქართველოს რაგბის კავშირის ოპერაციების დირექტორი.
- გოჩა მაჭავარიანი – საქართველოს რაგბის კავშირის გამგეობის თავმჯდომარე.
- დავით წერეთელი – მედიცინის დოქტორი, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გადაამდებ დაავადებათა დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი.
- ვასილ ლიპარტელიანი – განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარების სამმართველოს უფროსი (საკონტაქტო პირი COVID-19-თან დაკავშირებულ საკითხებში).

შეხვედრის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ დღევანდელ ეპიდემიოლოგიურ ვითარებაში ძალიან საფრთხილოა რაგბის ჩემპიონატების განხორციელება, თუმცა რაგბის კავშირი ძალისხმევას არ იშურებს COVID-19-ის გავრცელების რისკის შესამცირებლად. ამ მიმართულებით გადადგმულია მთელი რიგი ნაბიჯებისა: რაგბიში ჩართულ ყოველ ადამიანს ევალება მსოფლიო რაგბის ონლაინ მოდულების გავლა COVID-19-თან მიმართებაში, ყოველ გუნდში დანიშნულია



კოვიდ-მენეჯერი, რომლებიც მონიტორირებას უწევენ ყოველდღიურ თერმულ და სიმპტომურ სკრინინგს, ტარდება სანიტარული სამუშაოები სავარჯიშო თუ სათამაშო სივრცეებში, აკრძალულია მასობრივი შეკრებები დასწრება თამაშებზე. ამ მხრივ რაგბის საზოგადოება, შეიძლება ითქვას, რომ ბევრ სხვაზე მეტად გათვითცნობიერებულია COVID-19 ეპიდემიის პრევენციის საკითხებში. მიუხედავად ამისა შეუძლებელია რისკების ნოლამდე დაყვანა.

ჩემპიონატის დროებითი შეჩერება 2-3 კვირით, რაც ადრე იყო შემოთავაზებული, რეალური კატასტროფის წინაშე დააყენებს რამდენიმე გუნდს. ამიტომ უნდა გამოინახოს ის მექანიზმი, რის საშუალებითაც მოხერხდება მთავრობის მიერ დაწესებული რეგულაციების დაცვა და ამასთან რაგბის ჩემპიონატების უსაფრთხოდ გაგრძელება.

მაგრამ იმ რეგულაციების განხორციელებას, რაც დღესდღეობით არსებობს ზოგადი მოსახლეობისთვის, ძალიან დიდი სირთულეების გამოწვევა შეუძლია რაგბიში. კერძოდ, აღნიშნული რეკომენდაციების მიხედვით ინფიცირებული პირის კონტაქტი უნდა გადავიდეს 12 დღიან თვითიზოლაციაში, და თუ ამ პერიოდში მას არ გამოუვლინდა COVID-19-ისთვის დამახასიათებელი სიმპტომები, იგი უბრუნდება ჩვეულ ცხოვრებას ტესტირების გარეშე. თუმცა, ამის განხორციელება პროფესიულ სპორტში, მითუმეტეს ისეთში, როგორც რაგბია, ფაქტიურად შეუძლებელია, რადგან არსებული კალენდრის მიხედვით გუნდს მოუწევს ერთი თამაშის გამოტოვება, ხოლო 12 დღიანი “დასვენებიდან” მე-2 დღეს კი – თამაში, რაც 12 დღიანი უვარჯიშობის ფონზე საგრძნობლად გაზრდის ტრავმირების რისკს (რომ არაფერი ვთქვათ არასახარბიელო სპორტულ შედეგზე).

ამის საპირწონედ, ბატონმა დავით წერეთელმა შემოიტანა წინადადება მომხდარიყო არსებული რეგულაციების ერთგვარი ადაპტირება იმ სახით, რომ თვითიზოლაციაში მყოფ გუნდს მისცემოდა უფლება ევარჯიშა მცირე (მაგ. 3-4 კაციანი) ჯგუფებით იმ პირობით, რომ დაცული იქნებოდა ჯგუფთაშორისი იზოლირების პრინციპები როგორც მოედანზე (დაახლოებით 10 მ მანძილი ჯგუფებს შორის), ისე მოედნის გარეთ (სხვა მცირე ჯგუფის წევრებთან მინიმუმ 2 მ დისტანცირება, ნიღბის ტარება დახურულ სივრცეებში, პირადი ნივთების გაზიარების აკრძალვა), და ამასთან მაქსიმალურად იქნებოდა შეზღუდული უშუალო კონტაქტი თვით მცირე ჯგუფების წევრებს შორისაც, რაც უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ და მხოლოდ ვარჯიშის განსახორციელებლად აუცილებელი კონტაქტებით. ამ მოდელის მიზანი იქნება ის, რომ გუნდს ასე თუ ისე მიეცემა მომზადების საშუალება მომდევნო მატჩისთვის, ხოლო თუ რომელიმე ამ მცირე ჯგუფთაგანში აღმოჩნდება ახალი COVID-დადებითი შემთხვევა, მომდევნო 12 დღიან თვითიზოლაციაში გადავა მხოლოდ ამ ჯგუფში არსებული მოთამაშეები, ხოლო დანარჩენები შეძლებენ ვარჯიშის გაგრძელებას და თამაშს.

ასევე განხილულ იქნა ვარიანტი, როცა კონტაქტის შემთხვევაში მთელი გუნდი გადადის შეკრების რეჟიმში (თუმცა, ამის განხორციელება ჩვენს რეალობაში მხოლოდ 1 ან 2 გუნდს თუ ძალუძს). ამ შემთხვევაში ახალი COVID-დადებითი შემთხვევის დაფიქსირებისას მთელი გუნდი უნდა გადავიდეს მომდევნო 12 დღიან თვითიზოლაციაში.



ამ ორი ვარიანტის შედარების შემდეგ შეხვედრის მონაწილეები შეჯერდნენ პირველი, ანუ მცირე ჯგუფებით ვარჯიშის მოდელის სასარგებლოდ.

საუბარი ასევე შეეხო ტესტირების მნიშვნელობას დაავადების გავრცელების პრევენციის საკითხებში, ასევე იმ სირთულეებს, რაც ამის განხორციელებასთანაა დაკავშირებული. დაისახა გზები ამ საკითხის მოგვარებისათვის.

შეხვედრის ოქმი შეადგინა ბესიკ ჩადუნელმა.